

გამოყენებითი სოციალური კვლევების პროგრამა

**მატერიალური დეპრივაცია და არჩევნების შედეგები**

ალექსი გუგუშვილი  
ევროპის საუნივერსიტეტო ინსტიტუტი, ფლორენცია, იტალია  
[alexi.gugushvili@eui.eu](mailto:alexi.gugushvili@eui.eu)

სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, საქართველო  
[a.gugushvili@css.ge](mailto:a.gugushvili@css.ge)

(სამუშაო ვერსია)

## აბსტრაქტი


მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად უკავშირდება საარჩევნო ოლქებში შინამეურნეობების მატერიალური დეპრივაციის დონეს. მოცემული კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია რეგიონული ეფექტის, ურბანიზაციის დონის, მოსახლეობის ზომის, მართლმადიდებელი მოსახლეობის წილის, იდეოლოგიური შეხედულებებისა და არჩევნების დღეს ამომრჩეველთა აქტიურობის დონის გათვალისწინების შემდეგაც. პროპორციული სისტემით მიღებულ ხმათა უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიული მოდელები და მაჟორიტარული სისტემით პარტიის კანდიდატის გამარჯვების ალბათობის ლოგისტიკური მოდელები მიუთითებენ, რომ მატერიალური დეპრივაციის ყველაზე დაბალი და მაღალი მაჩვენებლების მქონე ოლქებმა ოპოზიციურ კოალიციას მიანიჭეს უპირატესობა. აღნიშნული ტენდენცია ასევე ჩანს იმ შემთხვევაშიც, თუ ანალიზიდან გამოვრიცხავთ გაყალბების უფრო მაღალი ალბათობის მქონე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს.

## კვლევის საგანი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები უკვე მოიხსენიება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში. 1990 წლის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ პირველად გამოაცხადა ოპოზიციური პოლიტიკური ძალა არჩევნებში გამარჯვებულად. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებთან ერთად, აღნიშნულმა მოვლენებმა ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საარჩევნო პოლიტიკისა და ამომრჩეველთა ქცევის შესახებ სოციალური და პოლიტიკური კვლევების განვითარებას. ყველა წინა არჩევნები ხასიათდებოდა როგორც ნაწილობრივ თავისუფალი ან სრულდებოდა ერთი პოლიტიკური ძალის მიერ ხმათა დიდი უმრავლესობით გამარჯვებით. აღნიშნული მახასიათებლები აფერხებდა არჩევნების შედეგების განმაპირობებელ ფაქტორებზე ემპირიული კვლევების ჩატარებას. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ვერ მოხერხდებოდა ოფიციალური შედეგების დაკავშირება კონტექსტუალურ მაჩვენებლებთან, აგრეთვე, ერთპიროვნული გამარჯვების შემთხვევაში, მცირე ვარიაცია შედეგებში შეზღუდავდა სტატისტიკური მოდელების მიერ მათი ახსნის შესაძლებლობას. აღნიშნული ორი პარამეტრის მიხედვით, 2012 წლის არჩევნები განსხვავდებოდა წინა არჩევნებისგან. ერთის მხრივ, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები თანხმდებიან, რომ თავისუფლების ხარისხი და გამჭვირვალობა იყო საკმაოდ მაღალი. მეორეს მხრივ კი, სხვაობა გამარჯვებული ქართული ოცნების 54.97 პროცენტსა და დამარცხებული "ნაციონალური მოძრაობის" 40.34 პროცენტს შორის არ არის დიდი, შედეგად, საარჩევნო ოლქების მიხედვით ხმებს შორის ვარიაცია მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 1 ასახავს ხმათა განაწილებას პოლიტიკურ პარტიებს შორის 73 საარჩევნო ოლქში. გამარჯვებული და დამარცხებული პარტიების მიერ მიღებული ხმების სტანდარტული გადახრა 15.4 და 15.2 პროცენტია, რაც

საშუალებას გვაძლევს, სტატისტიკური მეთოდებით ავხსნათ აღნიშნული სხვაობა.<sup>1</sup> ცხადია, ვარიაციის მნიშვნელოვანი წილი აიხსნება რეგიონული განსხვავებით. გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და თბილისის ოლქებში ხმები ძირითადად ქართული ოცნების სასარგებლოდ განაწილდა. სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში კი - ხმათა უმრავლესობა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო, ხოლო შერეული შედეგები აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, აჭარასა და შიდა ქართლში.



თუმცა, მხოლოდ რეგიონული განსხვავებები ვერ ხსნის იმ შედეგებს, რაც დაფიქსირდა საქართველოს 10 რეგიონსა და თბილისში. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, თუ რომელმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალური ფაქტორებმა განაპირობეს ნაციონალური მოძრაობის დამარცხება. თუმცა, მოცემულ კვლევაში ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებს, თუ როგორ უკავშირდება სოციალური კეთილდღეობა არჩევნების შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ოლქების დონეზე კონტექსტუალური მაჩვენებლების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლის მოპოვება და არჩევნების შედეგებთან მისი კავშირის შემოწმება შესაძლებელია

<sup>1</sup> სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მთლიანობაში მიიღეს მხოლოდ ხმათა 4.7 პროცენტი, 1.3 პროცენტის სტანდარტული გადახრით.

წარმომადგენლობითი კვლევის მეშვეობით და არჩევნების შედეგებზე სხვა შესაძლო ფაქტორების (როგორებიცაა - მოსახლეობის ზომა, ურბანიზაცია, რელიგიურობა, საგანმანათლებლო და იდეოლოგიური შეხედულებები) გავლენის გათვალისწინებით.

### **კვლევის დიზაინი, მონაცემები და მეთოდები**

კვლევის პირველი დამოკიდებული ცვლადია "ქართული ოცნების" მიერ პროპორციულ არჩევნებში ოლქების მიხედვით მიღებული ხმების წილი, რაც 0.17-დან 0.93-მდე მერყეობს. შემდეგი დამოკიდებული ცვლადია ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატის გამარჯვება ოლქში, რაც უტოლდება 1-ს, თუ აღნიშნული პოლიტიკური ძალის კანდიდატმა მოიგო შესაბამის საარჩევნო ოლქში. კვლევის შედეგების საიმედოობის შესამოწმებლად, ასევე ხდება დამოკიდებული ცვლადის სახით სხვა პოლიტიკური პარტიების მიერ ერთობლივად მიღებული ხმების გამოყენება. მთავარი დამოუკიდებელი ცვლადისა და სხვა საკონტროლო მაჩვენებლების მოპოვება ხდება ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოკვლევის მონაცემების გამოყენებით, რომელიც ჩატარებულია გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ 2006 წელს (UNECE, 2012). აღნიშნულ კვლევაში, დაკვირვებების დიდი რაოდენობა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს დამოუკიდებელი მაჩვენებლები ცალკეული საარჩევნო ოლქის მიხედვით, თუმცა, თბილისი აღებულია ერთი დაკვირვების სახით, ვინაიდან GGS არ იძლევა საშუალებას, მოხდეს მონაცემების დისაგრეგაცია დედაქალაქის უბნების მიხედვით. GGS-ში ასევე არ მოიპოვება მონაცემები სიღნაღის შესახებ.

მთავარი დამოუკიდებელი ცვლადია ოჯახების მატერიალური დეპრივაციის საშუალო დონე საარჩევნო ოლქებში. ამ მაჩვენებლის მიღება

ხდება შემდეგი შეკითხვის საფუძველზე - "ყოველი ჩამოთვლილი ნივთისთვის მიუთითეთ, გააჩნია თუ არა ის თქვენს შინამეურნეობას. თუ თქვენ არ გაქვთ ცალკეული ნივთი, გთხოვთ, მიუთითოთ გინდათ თუ არა მისი ქონა, მაგრამ არ შეგიძლიათ, თუ არ გაქვთ ის სხვა რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად, არ გინდათ ან არ გჭირდებათ" - აღნიშნული ნივთებია (1) მაცივარი, (2) ფერადი ტელევიზორი, (3) ვიდეო ჩამწერი ან დივიდი დამკვრელი, (4) სარეცხი მანქანა, (5) მიკროტალღური ღუმელი, (6) კომპიუტერი, (7) ჭურჭლის სარეცხი მანქანა, (8) ტელეფონი (სახლის ან მობილური), (9) ავტომანქანა (10) მეორე ავტომანქანა, (11) მეორე სახლი (მაგალითად, დასვენების მიზნით). ასევე, ხდება ხუთი საკონტროლო მაჩვენებლის გამოყენება: ურბანიზაციის დონე, რომელიც განისაზღვრება, თუ ოლქში გამოკითხულთა რა ნაწილი ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებაში. ასევე, განვსაზღვავთ განათლების დონეს, რომელიც თითოეული ინდივიდისთვის იღებს 1-დან (დაწყებითი განათლება) 7-მდე მნიშვნელობას (უმაღლესი განათლება). მსგავსი ფორმით დგინდება ასევე მართლმადიდებელი ამომრჩევლების წილი ოლქების მიხედვით. საარჩევნო შედეგებზე გავლენას უნდა ახდენდეს მოსახლეობის იდეოლოგიური შეხედულებები, სწორედ ამიტომ, შემდეგი შეკითხვის გამოყენება ხდება ამომრჩევლებში მემარჯვენე-მემარცხენე დამოკიდებულებების წარმოჩენის მიზნით - "ფიქრობთ თუ არა, რომ ახალგაზრდა და შვილებიან წყვილს, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უნდა ეხმარებოდეს, ძირითადად, საზოგადოება, ოჯახი თუ ორივე ერთად?". პასუხები ამ შეკითხვაზე მერყეობს 1-დან ("ძირითადად, საზოგადოების ამოცანაა") 5-მდე ("ძირითადად, ოჯახის ამოცანაა"). დამატებითი საკონტროლო მაჩვენებლებია მოსახლეობის სიდიდე საარჩევნო ოლქების მიხედვით და მოსახლეობის აქტივობა არჩევნების დღეს, რისი


წყაროებიცაა სტატისტიკის დეპარტამენტი (Geostat, 2012) და ცენტრალური საარჩევნო კომისია (2012).

დამოუკიდებელი ცვლადების ორი სხვადასხვა ფორმიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა წრფივი (OLS) და ლოგისტიკური (logit) რეგრესიები. OLS მოდელი გამოიყენება მაშინ, როდესაც დამოკიდებული ცვლადი არის ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების წილი საარჩევნო ოლქებში, ხოლო logit მოდელები გამოიყენება მაშინ, როდესაც დამოკიდებული ცვლადი არის ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვება საარჩევნო ოლქში. ჰეტეროსკედასტიკის პრობლემის გადაჭრისთვის, რეგრესიებში გამოთვლილია რობუსტული სტანდარტული შეცდომები, მაგრამ სივრცის შეზღუდულობის გამო, მათი წარმოდგენა არ ხდება ცხრილებში (Cameron and Trivedi, 2009). რეგრესიული ანალიზის შედეგების შესადარისობის მიღწევის მიზნით ყველა ცვლადი, რომელსაც 0-1 სახის ფორმა არა აქვს, სტანდარტიზირებულია. მცირე რაოდენობის დაკვირვებები და მათთან დაკავშირებული რეგრესიების თავისუფლების ხარისხი, არ იძლევა საშუალებას ყველა ცვლადი ერთდროულად იქნას განხილული, თუმცა მოდელებში დამოუკიდებელი ცვლადების ცალ-ცალკე შეყვანით და მათი შესაბამისი კომბინაციებით შესაძლებელია სტატისტიკურად ღირებული დასკვნების გაკეთება. იქიდან გამომდინარე, რომ ისტორიულად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ყოველთვის არსებობდა შენიშვნები საარჩევნო პროცესების შესახებ, შედეგების საიმედოობის შესამოწმებლად, ანალიზი ჩატარებულია აღნიშნული რეგიონების გათვლებიდან გამორიცხვის პირობებშიც.

## შედეგები

შინამეურნეობების დეპრივაციის საშუალო დონესა და ოპოზიციის მიერ მიღებულ ხმებს შორის ორცვლადიანი კავშირი გამოსახულია დიაგრამა 1-ზე. ჰორიზონტალური ღერძი ასახავს მატერიალურ დეპრივაციას საარჩევნო ოლქებს შორის, რაც 3.29-დან(გარდაბანის ოლქი) 9.79-მდე (თიანეთის ოლქი) მერყეობს ოლქებში ხმების განაწილება შეესაბამება რეგიონულ განსხვავებებს. ცხადია, დიაგრამა არ გამოხატავს წრფივ კავშირს განხილულ ორ ცვლადს შორის. თუ რაიმე სახის კავშირი არსებობს მატერიალურ დეპრივაციასა და არჩევნების შედეგებს შორის, მას U-ფორმის მრუდწრფივი სახე გააჩნია. როგორც ვხედავთ, ბევრი ოლქი მდებარეობს დეპრივაციის განაწილების შუაში და მათში აღრიცხული ხმები დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული ან ერთიანი ნაციონალური მოძრაობისკენ იხრება. მეორეს მხრივ, მრავალი ოლქი ხასიათდება, როგორც დაბალი, ასევე მაღალი მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლით და ორივე მათგანი არჩევანის დროს უპირატესობას ანიჭების ქართულ ოცნებას. უნდა აღინიშნოს, რომ დანახული ტენდენცია შეიძლება გამოწვეული იყოს ანალიზში ზოგიერთი პრობლემატური ოლქისა და მთლიანად რეგიონის ჩართვით. უფრო დამაჯერებელი კავშირის გამოსაკვლევად შემდეგი ნაბიჯია მრავალცვლადიანი ანალიზის ჩატარება, რითაც შესაძლებელია სხვა კონტექსტუალური მაჩვენებლების ეფექტების იზოლირება. ამავე დროს, შესაძლო U-ფორმის მრუდწრფივი ასოციაციის განსაზღვრისთვის, რეგრესიებში ასევე გათვალისწინებულია კვადრატში აყვანილი მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი. თუ ორივე მათგანი - დეპრივაციის დონე და მისი კვადრატული ფორმა - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და გააჩნიათ საპირისპირო არითმეტიკული ნიშანი (- და +), ეს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მრუდწრფივი ასოციაციის არსებობის მაჩვენებელია.





ცხრილ 1-ში მოცემულია უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიული მოდელების კოეფიციენტები. მოდელ 1-ის მიხედვით მატერიალური დეპრივაცია, როგორც ასეთი, მნიშვნელოვნად არ უკავშირდება დამოკიდებულ ცვლადს, თუმცა მოდელები 2, 3, 4, 5, 6 და 7 გვიჩვენებენ, რომ მოსახლეობის ზომა, ურბანიზაცია, მართლმადიდებლური მოსახლეობის წილი და საგანმანათლებლო დონე მნიშვნელოვნად და პოზიტიურად უკავშირდება ქართული ოცნებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობას. როდესაც ყველა აღნიშნული მაჩვენებელი ერთად განიხილება მოდელ 8-ში, მატერიალური დეპრივაცია და მისი კვადრატში აყვანილი ფორმა იძენს სტატისტიკურ მნიშვნელობას და შესაბამისად, ნეგატიურ და პოზიტიურ ნიშნებს, რაც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის U-ფორმის მრუდწრფივი კავშირის შესახებ მეტყველებს. სხვა სიტყვებით, ღარიბი და შეძლებული რეგიონები უფრო მეტი ალბათობით აძლევდნენ კოალიციას ხმას. რეგიონების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განაპირობებენ არჩევნების შედეგებს. სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელოში არსებულმა

ოლქებმა, ძირითადად, "ნაციონალურ მოძრაობას" დაუჭირეს მხარი, რაც ჩანს მოდელებში 9, 10, და 11. მოდელი 10 ასევე მოიცავს ყველა სხვა ცვლადს და გვიჩვენებს, რომ ურბანიზაციისა და მართლმადიდებელი მოსახლეობის გარდა, მატერიალური დეპრივაციაც ინარჩუნებს არჩევნების შედეგებთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი U-ფორმის ასოციაციას. ამასთან, მოდელი 10 ხსნის დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 54 პროცენტს, ხოლო მატერიალური დეპრივაციის მოდელ 11-ში შეყვანა ზრდის აღნიშნულ მაჩვენებელს 3 პროცენტული ერთეულით.

ცხრილი 1: 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატა წრფივი რეგრესიული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5	მოდ 6	მოდ 7	მოდ 8	მოდ 9	მოდ 10	მოდ 11
მუდმივი	-0.18	-0.15	-0.18	-0.18	-0.18	-0.18	-0.16	-0.16*	1.10***	0.13	0.15*
სოციალური კეთილდღეობა											
მატერიალური დეპრივაცია	-0.82	-	-	-	-	-	-	-1.21*	-	-	-1.19**
მატერიალური დეპრივაცია <sup>2</sup>	0.78	-	-	-	-	-	-	1.09*	-	-	1.04*
დემოგრაფიული მაჩვენებლები											
მოსახლეობის ზომა	-	0.18***	-	-	-	-	-	-0.01	-	-0.03	-0.05
ურბანიზაციის დონე	-	-	0.39***	-	-	-	-	0.35**	-	0.38***	0.36***
მართლმადიდებელი მოსახ.	-	-	-	0.44***	-	-	-	0.26*	-	0.19	0.21*
განათლება და იდეოლოგია											
განათლების საშუალო დონე	-	-	-	-	0.41***	-	-	0.05	-	-0.01	0.03
იდეოლოგია	-	-	-	-	-	-0.01	-	0.15	-	0.16	0.16
არჩევნების მახასიათებლები											
აქტივობის დონე	-	-	-	-	-	-	0.37***	0.30**	-	0.26*	0.20
რეგიონი											
აჭარა	-	-	-	-	-	-	-	-	-1.15***	-	-
გურია	-	-	-	-	-	-	-	-	-0.62***	-	-
იმერეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-0.77**	-	-
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-1.21***	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	-2.03***	-0.44	-0.73**
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-0.19	-	-
რაჭა-ლეჩხუმი	-	-	-	-	-	-	-	-	-1.32***	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-1.72***	-0.82***	-0.81***
სამცხე-ჯავახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-2.47***	-1.34***	-1.32***
შიდა ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	-0.82***	-	-
დაკვირვებები	63	64	63	63	63	63	64	63	64	63	63
კორექტირებული R <sup>2</sup>	-0.02	0.02	0.15	0.19	0.17	-0.02	0.14	0.36	0.35	0.54	0.57

შენიშვნები: \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგიონული მაჩვენებლების გარდა ყველა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი სტანდარტიზირებულია. მოდელ 9-ში რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი, ხოლო მოდელ 10-სა და 11-ში - ქვემო ქართლის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის გარდა ყველა სხვა რეგიონი. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.

ცხრილი 2: 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვებისკავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები ლოგისტიკური რეგრესიული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5	მოდ 6	მოდ 7	მოდ 8	მოდ 9	მოდ 10	მოდ 11
მუდმივი	0.04	0.35	0.07	-0.00	0.03	0.03	0.08	0.45	14.28***	1.22*	1.16*
სოციალური კეთილდღეობა											
მატერიალური დეპრივაცია	-2.33	-	-	-	-	-	-	-4.00	-	-	-6.61**
მატერიალური დეპრივაცია <sup>2</sup>	2.03	-	-	-	-	-	-	3.53	-	-	5.78**
დემოგრაფიული მაჩვენებლები											
მოსახლეობის ზომა	-	1.31	-	-	-	-	-	1.70	-	2.18	1.29
ურბანიზაციის დონე	-	-	0.76***	-	-	-	-	0.74*	-	0.98**	0.93*
მართლმადიდებელი მოსახ.	-	-	-	0.71**	-	-	-	0.77*	-	0.63	0.73*
განათლება და იდეოლოგია											
განათლების საშუალო დონე	-	-	-	-	0.62**	-	-	0.04	-	-0.59	-0.01
იდეოლოგია	-	-	-	-	-	0.11	-	0.41	-	0.48	0.39
არჩევნების მახასიათებლები											
აქტივობის დონე	-	-	-	-	-	-	0.48*	0.67	-	0.45	0.21
რეგიონი											
აჭარა	-	-	-	-	-	-	-	-	14.28***	-	-
იმერეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-3.59***	-	-
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-4.28***	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	-6.08***	-2.84**	-4.62**
რაჭა-ლეჩხუმი	-	-	-	-	-	-	-	-	-5.38***	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-4.98***	-1.49	-1.51
სამცხე-ჯავახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-5.89***	-2.30**	-2.7***
დაკვირვებები	63	64	63	63	63	63	64	63	53	63	63
კორექტირებული R <sup>2</sup>	0.03	0.03	0.08	0.07	0.06	0.00	0.04	0.25	0.14	0.29	0.38

შენიშვნები: \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. ყველა დამოუკიდებელი ცვლადი რეგიონული მაჩვენებლების გარდა სტანდარტიზირებული. რეფერირებადი კატეგორია არის თბილისის მოდელი 9-ში, რომელიც ასევე გამოიცხავს გურიას, მცხეთა-მთიანეთს, და შიდა ქართლს (ვინაიდან მათში დამოუკიდებელი ცვლადი მთლიანად იხსნება) მოდელი 10-სა და 11-ში ყველა სხვა რეგიონი გარდა ქვემო ქართლის, სამეგრელოს და სამცხე-ჯავახეთის არის რეფერირებადი კატეგორია. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.

იგივე დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადებია გამოყენებული ცხრილ 2-ში, თუმცა ამ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადი მაჟორიტარულ არჩევნებში ქართული ოცნების კანდიდატის გამარჯვებაა. , აღსანიშნავია, რომ მოდელ 8-ის მიხედვით ურბანიზაციის დონე და მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად უკავშირდება არჩევნების შედეგებს, როდესაც დამოუკიდებელი ცვლადები ერთად არის შეყვანილი მოდელში. ოპოზიციურ კანდიდატს გამარჯვების მაღალი შანსები აქვს იგივე რეგიონებში როგორ პროპორციულ სისტემის მიხედვით. მოდელ 11-ის მიხედვით, მატერიალური დეპრივაცია და მისი კვადრატული ფუნქცია ზრდის ფსევდო- $R^2$ -ს 9 პროცენტული ერთეულით. ამასთან ერთად, მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი ინარჩუნებს სტატისტიკურ მნიშვნელობას. იმისთვის, რომ შევამოწმოთ ჩვენი შედეგების საიმედოობა, დანართში მოცემულ ცხრილ 1-სა და 1ბ-ში ანალიზიდან ამოდებულია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული პრობლემური ოლქები. მსგავსად ძირითადი ანალიზისა, მატერიალური დეპრივაცია კვლავ ინარჩუნებს მრუდწრფივ სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს დამოკიდებულ ცვლადებთან - ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და აღნიშნული პარტიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების გამარჯვების ალბათობა. გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევაში რეგრესიის კოეფიციენტების ზომა უფრო მაღალია. და ბოლოს, ჩვენ ასევე ვამოწმებთ მატერიალურ დეპრივაციასა და სხვა პარტიების მიერ მიღებულ ხმებს შორის კავშირს. შედეგები მოცემულია ცხრილ 3ა-ში, სადაც ნაჩვენებია მატერიალურ დეპრივაციის მნიშვნელოვანი შეტრიალებული U-ფორმის კავშირი სხვა პარტიების მიერ მიღებულ ხმებთან. ასეთი სახის კავშირი მოსალოდნელია ნაციონალური მოძრაობისთვის მოცემულ რეგიონებში. სხვა სიტყვებით, სხვა პარტიებისთვის მიცემულ ხმებზე სოციალური კეთილდღეობის ეფექტი განპირობებულია იმავე ფაქტორებით, რასაც ადგილი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობისთვის" მიცემულ ხმებზედა მიუთითებს ამ ორ პროფილს შორის მსგავსებაზე.

## განხილვა

საქართველოში არსებულმა ნაწილობრივ თავისუფალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა (Freedom House, 2012), გამჭვირვალე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა არ შექმნა წლების განმავლობაში, რაც თავის მხრივ, ხელს უშლიდა საარჩევნო პრეფერენციებისა და ქმედებების კვლევების წარმოებას ქვეყანაში. უფრო სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს შეუძლია გახსნას ახალი შესაძებლობები არჩევნების შედეგების, ასოცირებული ფაქტორებისა და გამომწვევი მიზეზების კვლევისთვის. ვინაიდან ჩვენი საკვლევი ინტერესი, ძირითადად, უკავშირდება სოციალურ კეთილდღეობას, აღნიშნულ სტატიაში შესწავლილია კავშირი მატერიალურ დეპრივაციასა და ოლქებში არჩევნების შედეგებს შორის. ანალიზი აჩვენებს, რომ კეთილდღეობის დონით უფრო მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე ოლქები ხმას "ქართულ ოქნებას" აძლევდნენ, მაშინ როდესაც, საშუალო დეპრივაციის მქონე ოლქები "ნაციონალურ მოძრაობას" ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა, ის ფაქტი, რომ დეპრივაციის უფრო მაღალი დონე, რაღაც ზღვრამდე ნეგატიურად უკავშირდება ოპოზიციურ ხმებს არ ნიშნავს, რომ არსებობს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამ ორ ცვლადს შორის. ის ოლქები, სადაც მატერიალური დეპრივაცია უფრო მაღალია (მაგრამ არა ყველაზე მაღალი) ამავედროულად, სავარაუდოდ, წარმოადგენენ ოლქებს, სადაც თავისუფალ მედიასთან ხელმისაწვდომობა უფრო შეზღუდულია, ხოლო დამოკიდებულება სახელმწიფოზე, თუნდაც მიზნობრივი სოციალური დახმარების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია. აღნიშნული ორივე მახასიათებელი შესაძლოა, განაპირობებს ამომრჩეველთა ნაკლებ ინფორმირებულობასა და კრიტიკულობას არსებული ხელისუფლების მიმართ. მეორეს მხრივ, მაშინ, როდესაც დეპრივაცია აღწევს კარკვეულ ზღვარს, ამომრჩეველთა იმედგაცრუება შეიძლება გახდეს არჩევნების შედეგებზე მოქმედი მთავარი ფაქტორი. საარჩევნო შედეგებისა და მატერიალური დეპრივაციის კავშირის შესასწავლად უფრო დამაჯერებელი კვლევისთვის, ინდივიდუალურ დონეზე განსაზღვრული პოლიტიკური პრეფერენციები და

სხვა სოციალურ-ეკონომიკური სახის მონაცემებია საჭირო, რომლის დაკავშირებაც ერთანეთთან მრავალდონიან რეგრესიულ მოდელში არის შესაძლებელი.

### წყარო

- CAMERON, A. C. & TRIVEDI, P. K. 2009. *Microeconometrics using Stata*, College Station, Texas, Stata Press.
- CENTRAL ELECTION COMMISSION 2012. Elections 2012: Final results. Tbilisi: Election Administration of Georgia.
- FREEDOM HOUSE 2012. *Nations in Transit 2012: Democratization from Central Europe to Eurasia*, Rowman & Littlefield Publishers.
- GEOSTAT 2012. Statistical information. Tbilisi: National Statistics Office of Georgia.
- UNECE 2012. Generations and Gender Survey: 1st Wave. Geneva: United Nations Economic Commission for Europe.

## დანართი

ცხრილი 1ა: 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიული მოდელებიდან, ყველა რეგიონი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4
მუდმივი	0.01	1.10***	0.10	0.19*
სოციალური კეთილდღეობა				
მატერიალური დეპრივაცია	-1.39*	-	-	-1.23*
მატერიალური დეპრივაცია <sup>2</sup>	1.25*	-	-	1.09
დემოგრაფიული მაჩვენებლები				
მოსახლეობის ზომა	-0.05	-	-0.06	-0.08
ურბანიზაციის დონე	0.39***	-	0.34***	0.32***
მართლმადიდებელი მოსახ.	0.02	-	0.09	0.09
განათლება და იდეოლოგია				
განათლების საშუალო დონე	0.07	-	0.17	0.21*
იდეოლოგია	0.20*	-	0.22*	0.20*
არჩევნების მახასიათებლები				
აქტივობის დონე	0.38**		0.31*	0.27
რეგიონი				
აჭარა	-	-1.15***	-	-
გურია	-	-0.62***	-	-
იმერეთი	-	-0.77**	-	-
კახეთი	-	-1.21***	-	-
მცხეთა-მთიანეთი	-	-0.19	-	-
რაჭა-ლეჩხუმი	-	-1.32***	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-1.72***	-0.84***	-0.81***
შიდა ქართლი	-	-0.82***	-	-
დაკვირვებები	50	51	50	50
კორექტირებული R <sup>2</sup>	0.27	0.21	0.39	0.41

*შენიშვნები:* \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგიონული მაჩვენებლების გარდა ყველა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი სტანდარტიზირებულია. მოდელ 2-ში რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი, ხოლო მოდელ 3-სა და 4-ში ყველა რეგიონი სამეგრელოს გარდა. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.



ცხრილი 2ა: 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვებისკავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები ლოგისტიკური რეგრესიული მოდელებიდან, ყველა რეგიონი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4
მუდმივი	1.21	15.97***	1.11*	1.22*
სოციალური კეთილდღეობა				
მატერიალური დეპრივაცია	-9.11***	-	-	-8.64***
მატერიალური დეპრივაცია <sup>2</sup>	8.11***	-	-	7.64**
დემოგრაფიული მაჩვენებლები				
მოსახლეობის ზომა	1.54	-	1.77	1.01
ურბანიზაციის დონე	0.73	-	0.69*	0.57
მართლმადიდებელი მოსახ.	0.44	-	0.48	0.54
განათლება და იდეოლოგია				
განათლების საშუალო დონე	-0.38	-	-0.47	-0.07
იდეოლოგია	0.32	-	0.48	0.31
არჩევნების მახასიათებლები				
აქტივობის დონე			0.24	-0.07
რეგიონი				
აჭარა	-	-15.97***	-	-
იმერეთი	-	-15.28***	-	-
კახეთი	-	-15.97***	-	-
რაჭა-ლეჩხუმი	-	-17.07***	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-16.67***	-1.46	-1.39
დაკვირვებები	50	40	50	50
კორექტირებული R <sup>2</sup>	0.26	0.09	0.16	0.28

შენიშვნები: \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. ყველა დამოუკიდებელი ცვლადი რეგიონული მაჩვენებლების გარდა სტანდარტიზირებული. რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი მოდელ 2-ში, რომელიც ასევე გამოირიცხავს გურიას, მცხეთა-მთიანეთს, და შიდა ქართლს (ვინაიდან მათში დამოუკიდებელი ცვლადი მთლიანად იხსნება) მოდელ 3-სა და 4-ში სამეგრელოს გარდა ყველა სხვა რეგიონი არის რეფერირებადი კატეგორია. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევისა (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.

ცხრილი 3ა: 2012 წლის არჩევნებში სხვა პარტიების მიერ მიღებული ხმების კავშირი დამოუკიდებელ და საკონტროლო მაჩვენებლებთან, კოეფიციენტები უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიული მოდელებიდან

	მოდ 1	მოდ 2	მოდ 3	მოდ 4	მოდ 5	მოდ 6	მოდ 7	მოდ 8	მოდ 9	მოდ 10	მოდ 11
მუდმივი	0.03	0.02	0.03	0.03	0.03	0.03	0.02	0.02	-0.53	0.13	0.11
სოციალური კეთილდღეობა											
მატერიალური დეპრივაცია	2.07***	-	-	-	-	-	-	1.82**	-	-	1.53**
მატერიალური დეპრივაცია <sup>2</sup>	-1.97***	-	-	-	-	-	-	-1.76**	-	-	-1.52**
დემოგრაფიული მაჩვენებლები											
მოსახლეობის ზომა	-	-0.04	-	-	-	-	-	-0.09	-	-0.07	-0.07
ურბანიზაციის დონე	-	-	0.08	-	-	-	-	-0.10	-	0.11	0.08
მართლმადიდებელი მოსახ.	-	-	-	0.02	-	-	-	-0.10	-	-0.31	-0.28
განათლება და იდეოლოგია											
განათლების საშუალო დონე	-	-	-	-	0.17	-	-	0.25	-	-0.05	-0.07
იდეოლოგია	-	-	-	-	-	-0.19	-	-0.21	-	-0.21	-0.21
არჩევნების მახასიათებლები											
აქტივობის დონე	-	-	-	-	-	-	-0.08	-0.12	-	-0.09	-0.04
რეგიონი											
აჭარა	-	-	-	-	-	-	-	-	1.72**	-	-
გურია	-	-	-	-	-	-	-	-	-0.25	-	-
იმერეთი	-	-	-	-	-	-	-	-	0.37	-	-
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	0.55*	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	0.00	-1.15**	-0.92
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	0.00	-	-
რაჭა-ლეჩხუმი	-	-	-	-	-	-	-	-	0.55***	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	1.47***	0.96***	0.95***
სამცხე-ჯავახეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-0.37	-1.22*	-1.27**
შიდა ქართლი	-	-	-	-	-	-	-	-	0.92***	-	-
დაკვირვებები	63	64	63	63	63	63	64	63	64	63	63
კორექტირებული R <sup>2</sup>	0.04	-0.01	-0.01	-0.02	0.01	0.02	-0.01	0.01	0.27	0.19	0.20

შენიშვნები: \*\*\*, \*\*, და \* აღნიშნავს სტატისტიკურ მნიშვნელობებს 0.01, 0.05, და 0.10 დონეზე. რეგიონული მაჩვენებლების გარდა ყველა დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცვლადი სტანდარტიზირებულია. მოდელ 9-ში რეფერირებადი კატეგორია არის თბილისი, ხოლო მოდელ 10-სა და 11-ში - ქვემო ქართლის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის გარდა ყველა სხვა რეგიონი. მდგრადი სტანდარტული შეცდომები გამოთვლილია, მაგრამ არ არის ნაჩვენები. წყარო: ავტორის გათვლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (2012), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევისა (UNECE, 2012) და საქსტატის (2012) მონაცემთა საფუძველზე.